<u>დანართი 1 - ტექნიკური დავალება</u>

კვლევა შერჩეულ მუნიციპალიტეტებში კრიზისული სიტუაციების მართვის შესახებ არსებული პრაქტიკისა გამოსავლენად, შესაბამისი რეკომენდაციებისა და გზამკვლევის მოსამზადებლად

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

სამუშაო აღწერილობა:

ზოგადი ინფორმაცია

2020 წლის თებერვლიდან ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო ქვეყანაში შექმნილმა საგანგებო მდგომარეობამ მუნიციპალიტეტები და რეგიონები ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე დააყენა. შესაბამისად, ამ თემამ ასახვა ჰპოვა GIZ-ის პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომლობის სამოქმედო გეგმაში.
საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 23 მარტს მიღებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ N181-ე დადგენილების შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის ვადით მთელი რიგი შეზღუდვები დაწესდა გადაადგილების, ტრანსპორტის, ეკონომიკური საქმიანობის, საგანმანათლებლო პროცესის, კულტურული, სპორტული და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით საკონტროლო პუნქტები მოეწყო ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის, ქ. გორის, ქ. ახალციხისა და და ქ. თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებთან, რომელსაც შემდგომ სხვა ადმინისტრაციული ერთეულებიც დაემატა. შესაბამისად, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობაც ინტენსიურად ჩაერთო პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება დაევალათ მათ, რაც საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას გულისხმობდა. აღნიშნული მოიცავდა მოსახლეობის ინფორმირებულობას, თერმო სკრინინგის ჩატარების ხელშეწყობას, სადეზინფექციო სამუშაობის წარმოებას, მოხალისეთა მობილიზებას და სხვა დამატებით ღონისძიებებს, რაც პანდემიისა და კრიზისის შედეგად გამოწვეულ სიტუაციასთან მიმართებაში გახდა აუცილებელი. თვითმმართველი ერთეულები, ისევე როგორც სხვა ინსტიტუციები, ძირითადი უფლებამოსილებების დროებით შეჩერების ან/და მათი განხორციელების ახლებური გზების მოძიების საჭიროების წინაშე დადგნენ. ამასთან, ამ პროცესში, ერთი

მხრივ, მუნიციპალიტეტებში, ხოლო მეორე მხრივ, მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია ასევე დაკავშირებულია მთელ რიგ გამოწვევებთან.

საკონსულტაციო მომსახურების მიზანი

- საკონსულტაციო მომსახურების მიზანია შერჩეულ მუნიციპალიტეტებში ახალი კორონავირუსის გამო შექმნილ კრიზისულ სიტუაციაზე რეაგირების კუთხით არსებული პრაქტიკის კვლევა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.
- მუნიციპალიტეტებისთვის კრიზისული სიტუაციების მართვის გზამკვლევისა და კრიზისული სიტუაციების მართვის შესახებ გეგმის ნიმუშის შემუშავება.

საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები

საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, მომსახურების გამწევი ვალდებულია განახორციელოს:
შერჩეულ მუნიციპალიტეტებში კრიზისული სიტუაციის მართვის საკითხებთან დაკავშირებით არსებული სიტუაციისა და საჭიროებების გამოვლენა და ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციებისა და შესაბამისი გაიდლაინის მომზადება, რაც გულისხმობს შემდეგი კონკრეტული ამოცანების შესრულებას:

1. მუნიციპალიტეტების შერჩევის მიზნით კრიტერიუმების შემუშავება და კრიტერიუმების საფუძველზე საკვლევი მუნიციპალიტეტების შერჩევა. ამასთან, შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები: ქვეყნის მასშტაბით ყველა რეგიონიდან წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმუმ ერთი მუნიციპალიტეტი. საერთო ჯამში შერჩეული მუნიციპალიტეტებს შორის უნდა იყოს სულ მცირე ორი მუნიციპალიტეტი, რომელიც კრიზისის ფარგლებში გამოცხადდა კარანტინის ზონად. კვლევა უნდა მოიცავდეს თბილისსაც.

2. კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;

3. არსებული სიტუაციის შესახებ კვლევა უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

    - **კრიზისული სიტუაციის დროს გაწეული უფლებამოსილებების შესწავლა**
        - ✓ რა უფლებამოსილებები განახორციელეს მუნიციპალიტეტებმა შეუფერხებლად და ჯეროვნად კრიზისული სიტუაციის დროს;
        - ✓ რომელი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში შეიქმნა შეფერხებები/ხარვეზები; რომელი ფუნქციების შეჩერება მოუწიათ მუნიციპალიტეტებს საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში; რა გავლენა

იქონია აღნიშნულმა ადგილობრივ მოსახლეობაზე (დასაქმებული მშობლები, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები);

- ✓ რომელი უფლებამოსილებების განხორციელების სრულად შეჩერება მოუწიათ მუნიციპალიტეტებს (გარდა საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული ღონისძიებებისა) და რა ფაქტორებმა განაპირო ეს, რა გავლენა იქონია აღნიშნულმა ადგილობრივ მოსახლეობაზე (დასაქმებული მშობლები, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები);
- ✓ ცენტრალური ხელისუფლებისგან რა დამატებითი ღონისძიებების გატარება დაევალათ მათ და როგორ განახორციელეს ისინი (აღნიშნული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით ცენტრალური ხელისუფლებისგან მიიღეს თუ არა შესაბამისი რეკომენდაციები და ფინანსური მხარდაჭერა);
- ✓ როგორ იყო სამსახურებს შორის უფლებამოსილებები და თანამშრომლებს შორის პასუხისმგებლობები გადანაწილებული, იყო თუ არა გაწერილი სამოქმედო გეგმა თავისი პროცედურებით (ვინ ვის ექვემდებარება და ა.შ.)
- ✓ საგანგებო მდგომარეობის დროს მუნიციპალიტეტის მიერ დამატებითი საქმიანობის განხორციელება (ის, რაც არ არის თვითმმართველობის უფლებამოსილებით განსაზღვრული) დარეგულირდა თუ არა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით,
- ✓ საგანგებო ვითარების დროს მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილებების შესრულებისა და მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სერვისების მიწოდების დროს რამდენად იყო დაცული მათი უსაფრთხოება, უზრუნველყო თუ არა მუნიციპალიტეტმა თანამშრომელთა აღჭურვა დამცავი საშუალებებით (მთავრობის რეკომენდაციების მიხედვით);
- ✓ როგორი იყო მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის პრაქტიკა; გახდა თუ არა საჭირო სარეზერვო ფონდის შევსება; უზრუნველყოფილი იყოს თუ არა სარეზერვო ფონდის ხარჯვის გამჭვირვალობა;
- ✓ კვლევის ფარგლებში შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მოხდა თუ არა აღმასრულებელი ორგანოს (მერის) მიერ საკრებულოში საგანგებო ბიუჯეტის (საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის) წარდგენა და საკრებულოს მიერ მისი დამტკიცება;
- ✓ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირების და მათზე რეაგირების პრაქტიკა (მაგ: ხანდაზმული მოსახლეობა, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები);
- ✓ საგანგებო ვითარებაში მუნიციპალიტეტის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევებისა და ხარვეზების დადგენა;
- ✓ გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

- **კრიზისული სიტუაციის დროს დისტანციური მუნიციპალური სერვისების მიწოდების კვლევა**
    - ✓ კრიზისული სიტუაციის დროს მუნიციპალიტეტებმა რა ტიპის გადაწყვეტილებები მიიღეს მუნიციპალური სერვისების დისტანციურ რეჟიმში მიწოდების კუთხით; რამდენად შეძლეს მათ მომსახურების მიწოდების გადაწყობა ონლაინ რეჟიმში;
    - ✓ რა სახის სერვისები მიაწოდა მუნიციპალიტეტმა მოქალაქეებს დისტანციურ რეჟიმში;
    - ✓ რა ალტერნატიული საშუალებები/პლატფორმები გამოიყენეს ამ პროცესში და რამდენად ეფექტური და ხელმისაწვდომი იყო ეს სერვისები საგანგებო მდგომარეობის დროს; მოქალაქეებმა შეძლეს თუ არა ელექტრონული სერვისებით სარგებლობა;
    - ✓ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირების და მათზე რეაგირების პრაქტიკა სერვისების მიწოდების კუთხით (მაგ: ხანდაზმული მოსახლეობა, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები);
    - ✓ რა ხარვეზები და პრობლემები შეექმნა მუნიციპალიტეტებს სერვისების ონლაინ რეჟიმში მიწოდების დროს;
- **ინფორმაციის მიწოდება და კომუნიკაციის სტრატეგია კრიზისული სიტუაციის დროს**
    - ✓ ინფორმაცია და კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შიგნით (შიდა განაწესი, თანამშრომლების ინფორმირებულობა);
    - ✓ მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის არსებული შეზღუდვების/აკრძალვების და მუნიციპალური სერვისების შესახებ საჭირო, სრულყოფილი და დროული ინფორმაციის მიწოდება (ეთნიკური უმცირესობების მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება, ხანდაზმულთათვის, სოციალურად დაუცველი ჯგუფისთვის ინფორმაციის მიწოდება მათთვის დამატებითი სერვისების განხორციელების შესახებ და ა.შ.);
    - ✓ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ფორმებისა და არხების შესახებ არსებული პრაქტიკის შესწავლა (მუნიციპალური სერვისების შესახებ ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის მიწოდება, ცხელი ხაზის ფუნქციონირება, სოფლის რწმუნებულები, ადგილობრივ მედია-საშუალებებთან თანამშრომლობა ინფორმაციის გავრცელების მიზნით და ა.შ.);
    - ✓ მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდების განახლების პრაქტიკა: რამდენად დროულად და სრულყოფილად ხდება ინფორმაციის განახლება და საგანგებო სიტუაციის მოქმედების ფარგლებში აუცილებელი ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე;

- ✓ ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და იდენტიფიცირების მიზნით კომუნიკაციის პრაქტიკა;
- ✓ კომუნიკაციის კუთხით არსებული გამოწვევების და ხარვეზების იდენტიფიცირება;
- ✓ გამოვლენილი ხარვეზების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

- **კომუნიკაცია მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის**
  - ✓ კრიზისულ სიტუაციაში რა ძირითადი საჭიროებები და გამოწვევები აქვთ მუნიციპალიტეტებს და ხდება თუ არა მათი ცენტრალურ ხელისუფლებამდე მიტანა; კომუნიკაციისა და კოორდინაციის რა ფორმებს იყენებენ მუნიციპალიტეტები;
  - ✓ სამხარეო ადმინისტრაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის არსებული კომუნიკაციის ფორმებისა და კოორდინაციის მექანიზმების შესწავლა;
  - ✓ რამდენად ეფექტურია კომუნიკაცია და კოორდინაცია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლების რგოლებს შორის;
  - ✓ არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

4. არსებული სიტუაციის კვლევის ანალიზის საფუძველზე მომზადებული რეკომდენაციებისა და მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტების კრიზისული სიტუაციების მართვის გაიდლაინის (სახელმძღვანელოს) შემუშავება. ანალიზის შედეგად გამოკვეთილ სხვა საკითხებთან ერთად, სახელმძღვანელო უნდა მოიცავდეს კრიზისული სიტუაციების მართვის შესახებ გეგმის ნიმუშს, რომელშიც გაწერილი იქნება მუნიციპალური სამსახურების უფლება-მოვალეობები, თანამშრომლების პასუხისმგებლობები, პროცესი (ვინ ვის ექვემდებარება, გადაწყვეტილების მიღების დედლაინები და ა.შ.) და სხვ.

5. მომსახურების გამწევმა უნდა უზრუნველყოს კრიზისული სიტუაციების მართვის გეგმების რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, GIZ-თან და სხვა მნიშვნელოვან აქტიორებთან განხილვა და ამ პროცესში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით დოკუმენტის საბოლოო ვერსიის შემუშავება.

6. მომსახურების გამწევმა უნდა უზრუნველყოს შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარმოდგენა. შუალედური ანგარშის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს 15.08.2020-მდე, ხოლო საბოლოო ანგარიშის - 30.09.2020-მდე. ამასთან, მომსახურების გამწევმა უნდა უზრუნველყოს კვლევის ძირითადი მიგნებების შესახებ პრეზენტაციის მომზადება 31.08.2020-ისთვის. პრეზენტაციის

წარდგენა უნდა მოხდეს სექტემბრის დასაწყისში გამართულ რეგიონულ ვორქშოფზე.

7. მომსახურების გამწევმა სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება უნდა განახორციელოს GIZ-თან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასრტრუქტურის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათთან შეთანხმებით.

სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი:

სამუშაოს დაწყება: 15.06. 2020

სამუშაოს დასრულება 30.09.2020

შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. შეფასების ძირითადი შემაჯამებელი ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზე.

განაცხადების მიღება და შერჩევა

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ორგანიზაციის გუნდის გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით;
2. წარმოდგენილი ექსპერტების გამოცდილება/შესაძლებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მსგავსი კვლევების განხორციელების, სტრატეგიული გეგმებისა და სახელმძღვანელოების შემუშავების მიმართულებით *(შესაბამისი ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს წარმოდგენილი ექსპერტების რეზიუმეებში);*
3. ტექნიკური შემოთავაზების და პროექტის განხორციელების მეთოდოლოგიის ადეკვატურობა და სამუშაო აღწერილობასთან შესაბამისობა;
4. ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.

მომსახურების ხანგრძლივობა და ბიუჯეტი

მომსახურების განხორციელების სავარაუდო პერიოდია 15.06.2020 – 30.09.2020.

წარმოდგენილი ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 65 000 ლარს და არ უნდა შეიცავდეს დღგ-ს.

შერჩეულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, მომსახურების დაფინანსება მოხდება ეტაპობრივად.

განაცხადის მომზადება უნდა მოხდეს ინგლისურ და ქართულ ენაზე.

შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

1. თავფურცელი

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

2. პროექტის აღწერა

2.1 პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)

2.2. პროექტის მიზანი და ამოცანები

2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი

#	ღონისძიება	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	კომენტარი
1	X					*[მიუთითეთ საჭიროებისამებრ]*
2	Y					
3	Z					
...	…					

2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში. განაცხადს ასევე თან უნდა ერთვოდეს დასახელებული პირების რეზიუმეები.

2.5. დანართი

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

ფინანსური შემოთავაზება უნდა უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)

#	კატეგორია	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი (GEL)	საერთო ღირებულება (GEL)	განმარტება
1	**შრომის ანაზღაურება***					
1.1		[თვე ან კაც-დღე]				
1.2						
1.3						
	...					
	ჯამი					
2	**სხვა ხარჯი**					
2.1						
2.2	**...**					
	ჯამი					
	სულ ჯამი					

*მითითებული თანხა უნდა მოიცავდეს საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის ხარჯებს.

ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯები, რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები და მისი რაიმე სახის დავალიანების გასტუმრება.